საკრებულოს იურიდიულ

საკითხთა კომისიის სხდომის

ოქმი №7

ქ. თერჯოლა 02.06.2026 წ

ან. ჭანტურიძის ქ.№7

სხდომას უძღვებოდა: იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე - ბიძინა ბუცხრიკიძე

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

1. ბიძინა ბუცხრიკიძე; 2. ლაშა ლანჩავა; 3. ნინო ოქრუაძე; 4. გიორგი ყაზაიშვილი; 5. ჯემალ ისაკაძე; 6. გიორგი თურქაძე; 7. ეკა ბერძენიშვილი; 8. გიორგი ბარათაშვილი; 9. იუზა უგრეხელიძე; 10. ერეკლე კირკიტაძე; 11. ვლადიმერ მაკარიძე.

სხდომას არ ესწრებოდა: 0

სხდომას ასევე ესწრებოდა: თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი - ანა მარგველაშვილი და საკრებულოს უფროსი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში - ფიქრია ბუსკივაძე.

კომისიის სიითი შემადგენლობა: 11 წევრი

კვორუმი: 6 წევრი

დამსწრე კომისიის წევრთა რაოდენობა: 11

კომისიის სხდომა უფლებამოსილია გააგრძელოს მუშაობა დღის წესრიგის შესაბამისად

სხდომის თავმჯდომარემ - ბიძინა ბუცხრიკიძემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი.

დღის წესრიგი:

1. ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შინაური ბინადარი ცხოველების მოვლა-პატრონობისა და ყოლის წესის დამტკიცების შესახებ.'' (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი № 28-282614964, 29.05.2026 წ);

/მომხს.ბ.ბუცხრიკიძე/

2. ,,საქართველოს კანონით ,,საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი", საქართველოს კანონით ,,ნარჩენების მართვის კოდექსი" და საქართველოს ორგანული კანონით ,,საქართველოს საარჩევნო კოდექსი" მუნიციპალიტეტის კომპეტენციას მიკუთვნებულ სფეროში ჩადენილ სამართალდარღვევაზე ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმების, მათი შინააარსის, შედგენის, გამოყენების, ჩაბარებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 6 სექტემბრის №19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.'' (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი № 28-282614964, 29.05.2026 წ).

/მომხს.ბ.ბუცხრიკიძე/

კენჭისყრის შედეგები: მომხრე 11, წინააღმდეგი - არცერთი

<u>დღის წერიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით.</u>

<u>კომისიის სხდომა უფლებამოსილია გააგრძელოს მუშაობა დღის წესრიგის შესაბამისად.</u>

1. მოისმინეს: მომხსენებელმა - იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ - ბიძინა ბუცხრიკიძემ კომისიის სხდომას დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები გააცნო. პირველ საკითხად განხილულ იქნა ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შინაური ბინადარი ცხოველების მოვლა-პატრონობისა და ყოლის წესის დამტკიცების შესახებ"

დადგენილების პროექტი. აღნიშნული დადგენილების თანახმად, პროექტის მიღების მიზანია თერჯოლის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში შინაური ბინადარი ცხოველების მოვლა-პატრონობის, ყოლის, გადაადგილებისა და საზოგადოებრივი უსაფრთხოების წესების განსაზღვრა, აგრეთვე უპატრონო და უკონტროლო ცხოველებთან დაკავშირებული საკითხების სამართლებრივი მოწესრიგება. პროექტი ითვალისწინებს დადგენილი წესების დარღვევის შემთხვევაში შესაბამის ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას, გამომდინარე აქედან ცვლილება შევიდა ასევე ,,საქართველოს კანონით ,,საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი", საქართველოს კანონით ,,ნარჩენების მართვის კოდექსი" და საქართველოს ორგანული კანონით ,,საქართველოს საარჩევნო კოდექსი" მუნიციპალიტეტის კომპეტენციას მიკუთვნებულ სფეროში ჩადენილ სამართალდარღვევაზე ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმების, მათი შინაარსის, შედგენის, გამოყენების, ჩაბარებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 6 სექტემბრის №19 დადგენილებაში. კერძოდ, ,,დადგენილების დანართის მე-2 მუხლის 3^1 პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი შინაარსით:

,, 3^1 . საქართველოს კანონის ,,ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი „103-ე, 103^2 -ე, 148-ე და 151-ე მუხლებით გათვალისწინებულ სამართალდარღვევათა ოქმს - საჯარიმო ქვითარს ადგენს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი თერჯოლის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის მუნიციპალური სამსახური

აღნიშნულ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით:

აზრი გამოთქვეს:

კომისიის წევრებმა მხარი დაუჭირეს წარმოდგენილ დადგენილების პროექტს.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე: 11 , წინააღმდეგი: 0

გადაწყვიტეს:

მუხლი 1. დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები:

1. ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შინაური ბინადარი ცხოველების მოვლა-პატრონობისა და ყოლის წესის დამტკიცების შესახებ.''

2. ,,საქართველოს კანონით ,,საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი", საქართველოს კანონით ,,ნარჩენების მართვის კოდექსი" და საქართველოს ორგანული კანონით ,,საქართველოს საარჩევნო კოდექსი" მუნიციპალიტეტის კომპეტენციას მიკუთვნებულ სფეროში ჩადენილ სამართალდარღვევაზე ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმების, მათი შინაარსის, შედგენის, გამოყენების, ჩაბარებისა

და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 6 სექტემბრის №19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.”

დასამტკიცებლად წარედგინოს საკრებულოს ბიუროს და სხდომას.

იურიდიულ საკითხთა კომისიის

თავმჯდომარე - ბიძინა ბუცხრიკიძე